პროფესიული უნარების ტესტი უფროსი სპეციალური მასწავლებლებისთვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.
ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 1

სპეციალური მასწავლებელი ზოგჯერ კლასში ასისტირებას უწევს სსსმ მოსწავლეს. ამ პროცესში ის მოსწავლის თანაკლასელებთანაც ურთიერთობს.

ინკლუზიური სწავლების პრინციპების თანახმად სპეციალური მასწავლებლის ქმედება:

ა) **არ არის მართებული,** რადგან სპეციალური მასწავლებლის ვალდებულება სსსმ მოსწავლის ასისტირებაა და ეს დრო მან მოსწავლის თანაკლასელებს არ უნდა დაახარჯოს.

ბ) **მართებულია,** რადგან ამით სპეციალური მასწავლებელი ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლისა და მისი თანაკლასელების დაახლოებასა და მათ შორის დისტანციის შემცირებას.

გ) **არ არის მართებული,** რადგან სპეციალურ მასწავლებელთან ურთიერთობამ სსსმ მოსწავლის თანაკლასელებს შეიძლება ყურადღება გაუფანტოს და ხელი შეუშალოს საგაკვეთილო პროცესს.

დ) **მართებულია**, რადგან სსსმ მოსწავლის თანაკლასელებთან სპეციალური მასწავლებლის პოზიტიური ინტერაქცია ხელს შეუწყობს კლასში მხიარული განწყობის შექმნას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 2

მოსწავლის შესაძლებლობებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) გათვალისწინებულ მოთხოვნებს შორის არსებული სხვაობის შემცირების მიზნით მიმართავენ ესგ-ის ადაპტირებას. ცნობილია ადაპტაციის ორი ძირითადი ტიპი - აკომოდაცია და მოდიფიკაცია.

ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებაშია აღწერილი ესგ-ის აკომოდაცია?

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განსხვავებული რესურსებითა და განსხვავებული მიდგომებით სწავლება, როდესაც მოთხოვნები იგივე რჩება და იცვლება რესურსების ხელმისაწვდომობა.

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება, რაც მოითხოვს სასწავლო მიზნების შემცირებას, გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას.

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის გარემოსა და კონტექსტის გათვალისწინებით ისეთი მიზნების შერჩევა, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზეა მიმართული.

დ) ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ისეთი მისაღწევი შედეგების შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ დაუფლებული ცოდნის სკოლის გარეთ, განსხვავებულ სიტუაციებში გამოყენებას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 3

სსსმ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ მოსწავლეს უჭირს კატეგორიზაცია და საჭიროებს ამ უნარზე მუშაობას.

რომელი აქტივობის შესრულებას **ვერ შეძლებს** სსსმ მოსწავლე, თუ მას უჭირს კატეგორიზაცია?

ა) კონკრეტული მოვლენის მიზეზისა და მისი შედეგების განსაზღვრას.

ბ) გარკვეული მოვლენების, სიუჟეტებისა და პროცესების დალაგებას ლოგიკური თანმიმდევრობით.

გ) ობიექტების დაჯგუფებას მსგავსი მახასიათებლების მიხედვით.

დ) ბარათზე გამოსახულ მოვლენებსა და გარემოში არსებულ ობიექტებს შორის მიმართების დადგენას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 4

სსსმ მოსწავლე მე-4 კლასშია. მას უჭირს მსგავსი მოხაზულობის ასოების ერთმანეთისგან გარჩევა (გ-ვ, ს-ნ, თ-ო და სხვა) და ნაცნობი ასოების გამთლიანება ორასოიან მარცვალში. მასწავლებელმა მოკლევადიან მიზნად დაისახა, რომ მოსწავლემ შეძლოს მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტებიდან სიტყვების წაკითხვა. დასახული მიზნის მისაღწევად ის ხშირად აკითხებს მოსწავლეს სხვადასხვა სიტყვას ტექსტებიდან, თუმცა ამბობს, რომ მოსწავლეს პროგრესი არ აქვს.

რომელი მიზეზით არის განპირობებული, რომ მოსწავლეს **არ აქვს** პროგრესი?

ა) მასწავლებელმა გამოიყენა მხოლოდ ერთი ტიპის, ერთფეროვანი აქტივობები.

ბ) მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა მოსაწყენი აღმოჩნდა მოსწავლისათვის.

გ) მასწავლებელმა დასახული მიზნის მისაღწევად არაადეკვატური სტრატეგია გამოიყენა.

დ) მასწავლებელმა დაისახა მოსწავლის შესაძლებლობისთვის რთული და შეუსაბამო მიზანი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 5

მასწავლებლის მიერ მოსწავლის განმავითარებელი შეფასების მიზანია:

ა) სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის მისწრაფებებისა და ინტერესების გამოვლენა.

ბ) სწავლა-სწავლების პროცესში დახმარება, ინდივიდუალურად მორგებული წინსვლის ხელშეწყობა.

გ) წინასწარ განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა.

დ) სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრა კონკრეტულ საგანთან დაკავშირებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 6

მოსწავლე სახლიდან სკოლაში გაღიზიანებული მივიდა და გაკვეთილზე ტირილი დაიწყო. მასწავლებელს არ სურდა აქტივობის შეწყვეტა, მან სცადა მოსწავლის დამშვიდება და უთხრა, რომ მის ასაკში საერთოდ არ ღირს რაიმეზე სერიოზულად ნერვიულობა.

მასწავლებლის ქცევა:

ა) **მართებულია,** რადგან თუ მასწავლებელი უფრო დაწვრილებით ჩაეძიებოდა მოსწავლეს და დაუსვამდა დამატებით კითხვებს, აქტივობას ვეღარ გააგრძელებდა და გაკვეთილიც შეფერხდებოდა.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან მასწავლებელი ყურადღების მიქცევით უფრო განამტკიცებდა მოსწავლის პრობლემურ ქცევას და ის სხვა დროსაც გაიმეორებდა სასურველი შედეგის მისაღებად.

გ) **მართებულია,** რადგან მასწავლებელმა მყისიერად დაამშვიდა მოსწავლე, საკუთარი ქმედებით უზრუნველყო მისთვის საჭირო მხარდაჭერა და გაკვეთილში ჩართვისათვის ნიადაგის შექმნა.

დ) **მართებული არ არის,** რადგან მასწავლებლის მიერ მოსწავლის ემოციის გაუფასურებამ შეიძლება მას გაუჩინოს განცდა, რომ ვერ უგებენ, რაც გააუარესებს მის ურთიერთობას მასწავლებელთან.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 7

სსსმ მოსწავლეს კარნახის დროს დამოუკიდებლად შეუძლია ანბანის ყველა ასოს სწორად ჩაწერა, თუმცა ის ვერ ახერხებს ორი ასოსგან შედგენილი მარცვლის/სიტყვის კარნახით ჩაწერას და ითხოვს ასოების თანმიმდევრობის შეხსენებას.

აღწერილ პრობლემას განაპირობებს სირთულე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) ფონემატურ სმენასთან

ბ) სიტყვის ფონოლოგიურ ანალიზთან

გ) თვალისა და ხელის კოორდინაციასთან

დ) ბგერისა და ასოს ერთმანეთთან მისადაგებასთან

დავალება N 8



ჩამოთვლილთაგან რომელი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის არის **ყველაზე ეფექტიანი** ფოტოზე ნაჩვენები რესურსის გამოყენება?

ა) მოსწავლისათვის, რომელსაც უჭირს მეტობისა და ნაკლებობის მათემატიკური სიმბოლოების გაგება და დასწავლა.

ბ) მოსწავლისათვის, რომელსაც უჭირს იშვიათად გამოყენებული სიტყვების წაკითხვა და მათემატიკური ტერმინების გაგება.

გ) მოსწავლისათვის, რომელსაც უჭირს და ბევრი დრო სჭირდება იმისათვის, რომ ისწავლოს მარჯვენა-მარცხენა მხარეების გარჩევა.

დ) მოსწავლისათვის, რომელსაც უჭირს ციფრებით ოპერირება და ხშირად ეყრდნობა თითებით ან კონკრეტული ობიექტებით თვლას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 9

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლებისას?

ა) მისცეს მაქსიმალურად კონკრეტული ინსტრუქციები.

ბ) მისცეს ინსტრუქციები მხოლოდ წერილობით.

გ) მისცეს ორ- და სამსაფეხურიანი მითითებები.

დ) მისცეს დაუნაწევრებელი სასწავლო მასალა.

დავალება N 10

ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეთა რთული ქცევის მართვის მიზნით მასწავლებლები ხშირად იყენებენ დაგეგმილი იგნორირების ტექნიკას.

დაგეგმილი იგნორირების ტექნიკის გამოყენება **ყველაზე მეტად** მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც:

ა) მოსწავლეს არ უნდა ჯგუფურ თამაშში მონაწილეობა.

ბ) მოსწავლეს სურს გაკვეთილზე გართობა არასასკოლო ნივთებით.

გ) მოსწავლეს გამომწვევი ქცევით სურს მასწავლებლის ყურადღების მიპყრობა.

დ) მოსწავლეს არ უნდა მასწავლებლის მიერ მიცემული აქტივობის შესრულება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 11

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა, რომელთაგან ერთ-ერთია უნივერსალური დიზაინი.

ქვემოთ მოცემული განმარტებებიდან რომელი აღწერს **ყველაზე ადეკვატურად** სწავლების უნივერსალურ დიზაინს?

სწავლების უნივერსალური დიზაინი გულისხმობს:

ა) ფიზიკური გარემოს ისე მოდიფიცირებას, რომ დაიცვას მოსწავლეები ზედმეტი გამღიზიანებლებისგან და შექმნას სწავლებისათვის ოპტიმალური პირობები.

ბ) სსსმ მოსწავლეებისთვის მასალის ათვისების მიზნით, მისი ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც შეგრძნების სხვადასხვა მოდალობის გამოყენებას მოითხოვს.

გ) გაკვეთილების, მასალის, რესურსის ისე დაგეგმვასა და მომზადებას, რომ გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის სწავლის ინდივიდუალური სტილი.

დ) სწავლების მეთოდებისა და სასწავლო რესურსების ისე ორგანიზებას, რომ მოერგოს ნებისმიერი დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლის საჭიროებებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 12

მეტყველებას ორი ასპექტი აქვს: ექსპრესიული და იმპრესიული.

ჩამოთვლილთაგან რომელი მიუთითებს, რომ სსსმ მოსწავლეს აქვს ექსპრესიული ენის სირთულე?

ა) მოსწავლეს უჭირს შეკითხვების დასმა და კომენტარის გაკეთება.

ბ) მოსწავლეს უჭირს ბარათზე გამოსახული ობიექტის ამოცნობა.

გ) მოსწავლეს უჭირს ინსტრუქციების გაგება და მისი მიყოლა.

დ) მოსწავლეს უჭირს ჟესტების მნიშვნელობების გაგება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 13

რომელი სტრატეგია/სტრატეგიები უნდა გამოიყენოს სპეციალურმა მასწავლებელმა დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში?

I. მოსწავლეს მისცეს ნაწილებად დაყოფილი დავალებები და ეტაპობრივად უზრუნველყოს ახალი ინსტრუქციით.

II. გამოიყენოს მულტიმოდალური მიდგომა, რომელიც გულისხმობს შეხებით, სმენით და მხედველობით სწავლას.

III. მოსწავლეს დართოს ნება, მისთვის სასურველ დროს ან საერთოდ არ შეასრულოს მასწავლებლის მიერ მიცემული დავალება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 14

მასწავლებელმა შენიშნა, რომ ზოგიერთი მოსწავლე ვერ ითვისებს სასწავლო მასალას, ამიტომ კარგავს ინტერესს და ეთიშება სასწავლო პროცესს. სწავლების პროცესის ეფექტიანობის მიზნით მან მასალა დაანაწევრა და მოსწავლეებს შესაძლებლობების მიხედვით გადაუნაწილა, ზოგიერთს დროც გაუზარდა დავალების შესასრულებლად.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან პროგრამა არ არის შედგენილი ისე, რომ თანაბრად იყოს გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის უნარები და მასწავლებელს თავისი შეხედულების მიხედვით შეუძლია ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესში.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან მასწავლებელი უნდა მოქმედებდეს კლასის ინტერესებიდან გამომდინარე და სასწავლო პროცესი არ უნდა შეფერხდეს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამო.

გ) **ადეკვატურია,** რადგან მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებთან, რათა უზრუნველყოს ყველა მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან მასწავლებელი ვალდებულია, თვალყური ადევნოს სასწავლო პროგრამების რეალიზებას და უზრუნველყოს, რომ ყველა მოსწავლემ მიაღწიოს ერთნაირ სასწავლო შედეგს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 15

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მონიტორინგი სწავლა-სწავლების თანმდევი პროცესია. არსებობს რეკომენდაციები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული სრულყოფილი მონიტორინგისთვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა/აქტივობები აღწერს ისგ-ის მონიტორინგის პროცესს?

I. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლის მიღწევებს ყოველი თემის დასრულების შემდეგ, დასახულ მოკლევადიან მიზნებთან მიმართებით აღწერს მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

II. მასწავლებელი კიდევ ერთხელ დეტალურად აფასებს მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

III. მასწავლებელი ზრუნავს სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგის მოდიფიკაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ მიაღწია ისგ-ის მოკლევადიან მიზნებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 16

A სვეტში მოცემულია მასწავლებლის სხვადასხვა რეაქცია მოსწავლეების რთულ ქცევაზე, ხოლო B სვეტში - რთული ქცევის მართვის ტექნიკები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მასწავლებლის რეაქცია (A)	**ტექნიკა (B)**
I. „ნიკა, როდესაც დაფაზე მაგალითებს ვწერ და ამ დროს ხმაურობ, ჩემთვის რთულია კონცენტრაცია, მიჭირს ხმაურში მუშაობა.“	ა) ირიბი გამეორების ტექნიკა ბ) „მე“ შეტყობინების ტექნიკა
II. როდესაც ნინო დავალების შესრულების ნაცვლად თამაშობს, მასწავლებელი ამბობს: „ნახეთ, ლიკამ უკვე დაიწყო მუშაობა, ყოჩაღ, ლიკა!“	
III. სსსმ მოსწავლე არ ერთვება ჯგუფურ სამუშაოში, მასწავლებელი მისი ჯგუფის წევრებთან ახლოს მიდის და მიმართავს: „ყოჩაღ, კარგად ასრულებთ დავალებას“.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 17

დასწავლის უნარის დარღვევა ყველა ბავშვთან განსხვავებულია, თუმცა მათ, შესაძლებელია, საერთო თავისებურებებიც ახასიათებდეთ.

A სვეტში მოცემულია დასწავლის სირთულის მაგალითები, B სვეტში - დასწავლის უნარის დაქვეითების სახეები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	დასწავლის სირთულე (A)	**დაქვეითების სახე (B)**
I.	დამახასიათებელია ციფრების ათვისების, მათი მნიშვნელობის გააზრების, მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულების პრობლემები.	ა) დისლექსია ბ) დისკალკულია
II.	სირთულეს წარმოადგენს იშვიათად გამოყენებული სიტყვების კითხვა და წაკითხულიდან აზრის გამოტანა.	
III.	რთულია გაზომვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულება, დიდ დროს მოითხოვს მიმართულებისა და მხარეების გარჩევის სწავლა.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 18

მასწავლებელმა სწავლების კომპონენტები უნდა ცვალოს სსსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

A სვეტში მოცემულია სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში - სწავლების კომპონენტები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სასწავლო აქტივობა (A)	კომპონენტი (B)
I. სსსმ მოსწავლე საშინაო დავალების შინაარსს წერილობითი შესრულების ნაცვლად ნახატით გადმოსცემს.	ა) ფორმის ცვლილება ბ) შინაარსის ცვლილება
II. სსსმ მოსწავლე თხრობის ნაცვლად ტექსტის შინაარსს გადმოსცემს სიუჟეტური სურათების სწორი თანმიმდევრობით დალაგებით.	
III. სსსმ მოსწავლე მათემატიკაში გამრავლება-გაყოფის სავარჯიშოების ნაცვლად, ასრულებს დავალებებს მიმატება-გამოკლებაზე.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 19

მაქსიმალური ქულა - 3

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია ობიექტური ინფორმაციის ფრთხილად მიწოდება. სპეციალურმა მასწავლებელმა საუბრისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მშობლებისთვის საკითხი, რომელიც მისი შვილის მდგომარეობას ეხება, შეიძლება ძალიან მტკივნეული გახდეს, ამიტომ არის საჭირო მშობლებთან შვილებზე საუბრისას სპეციფიკური მეთოდების გამოყენება.

- აღწერეთ მეთოდი, რომელიც დაეხმარება სპეციალურ მასწავლებელს უმტკივნეულოდ მიაწოდოს მშობელს ობიექტური ინფორმაცია შვილის შესახებ.
- ახსენით, რატომ არის ამ მეთოდის გამოყენება ეფექტიანი სსსმ მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის დროს.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 20

მაქსიმალური ქულა - 3

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ზოგჯერ მეხსიერების დეფიციტი აქვთ - უჭირთ მიწოდებული ინფორმაციის გამეორება და დავალებების სწორი თანმიმდევრობით შესრულება, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება სსსმ მოსწავლეს მეხსიერების განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 21

მაქსიმალური ქულა - 3

მოსწავლეს აქვს ყურადღების კონცენტრაციის სირთულე. მასწავლებელმა არაერთხელ შენიშნა, რომ ახალი მასალის ახსნის დაწყებიდან საშუალოდ 4 - 5 წუთის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მასალა გასაგებია, მოსწავლეს ეფანტება ყურადღება, იწყებს წიგნებში ილუსტრაციების თვალიერებას და ვერ მიჰყვება საგაკვეთილო პროცესს.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ყურადღების კონცენტრაციის პრობლემის მქონე მოსწავლეს, რომ უკეთ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 22

ჩამოთვლილთაგან სპეციალური მასწავლებლის რომელი ქმედება მიუთითებს, რომ ის იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებისგან მოითხოვს კლასისთვის შემუშავებული ქცევის წესების დაცვას.

ბ) მასწავლებელი თავად ზედმიწევნით იცავს კლასში შემუშავებულ წესებს და მათ შესაბამისად მოქმედებს.

გ) მასწავლებელი აკონტროლებს, თუ როგორ იცავს სსსმ მოსწავლე კლასში შემუშავებულ ქცევის წესებს.

დ) მასწავლებელი კლასში გამოაკრავს სსსმ მოსწავლის სირთულის გათვალისწინებით შემუშავებულ წესებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 23

კითხვის დასწავლა მიზანმიმართული ვარჯიშის შედეგად მიიღწევა და რთული ლინგვისტური პროცესია.

ჩამოთვლილთაგან რომელი საბაზისო უნარი/უნარები უზრუნველყოფს კითხვის დასწავლას?

I. პროცედურული მეხსიერება

II. ვიზუალურ-სივრცითი უნარები

III. ფონემური ანალიზი და სინთეზი

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 24

კლასში არის ორი მოსწავლე, რომლებიც ყოველთვის კამათობენ, როდესაც ერთ მერხთან სხედან. ხშირად მათი კონფლიქტი ფიზიკურ აგრესიაში გადაიზრდება ხოლმე.

რომელი ქმედება იქნება **ყველაზე ეფექტიანი** აღწერილი კრიზისული სიტუაციის მართვის თვალსაზრისით, თუკი მასწავლებელმა შენიშნა, რომ მოსწავლეებმა კამათი დაიწყეს?

ა) მასწავლებელმა უნდა შეაწყვეტინოს მოსწავლეებს კამათი და დასვას ისინი ცალ-ცალკე, გაკვეთილის დასრულების შემდეგ კი აუცილებლად გაესაუბროს მათ და გაერკვეს კამათის გამომწვევ მიზეზებში.

ბ) მასწავლებელმა უნდა მისცეს შენიშვნა მოსწავლეებს. სთხოვოს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ კამათი და შეახსენოს, რომ მათი ქცევა გაკვეთილის მსვლელობას ხელს უშლის, შემდეგ კი დაიბაროს მშობლები.

გ) მასწავლებელმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს რთული ქცევის გამოვლენისას მოსწავლეებს, მშვიდად განაგრძოს გაკვეთილი. მოსწავლეებმა ვერ უნდა შეძლონ პრობლემური ქცევით მასწავლებლის ყურადღების მიპყრობა.

დ) მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, შეწყვიტონ კამათი. ფიზიკური აგრესიის გამოვლენისას ყოველთვის დაავალოს მათ კლასის მოწესრიგება, რომ მოსწავლეებმა სამომავლოდ აღარ გაიმეორონ მსგავსი ქცევა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 25

ბავშვების სკოლაში ტრანზიცია წარმატებულად რომ ჩაითვალოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი ინდიკატორი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სკოლაში მოსწავლის ტრანზიცია წარმატებით **არ მიმდინარეობს?**

ა) მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში, თუმცა ზოგჯერ დახმარებას ითხოვს მასწავლებლებისაგან.

ბ) მოსწავლე ესწრება გაკვეთილებს, თუმცა სკოლაში ყოფნის დროს უძნელდება ფიზიკურ სივრცეში ორიენტაცია.

გ) მოსწავლე აქტივობებში მონაწილეობს, კითხვებსაც უპასუხებს, თუმცა შეკითხვებს თავად მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში სვამს.

დ) მოსწავლე ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად, თუმცა კონკრეტულ საგნებში აქვს სწავლის სირთულეები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 26

სკოლებში რესურს ოთახის შესაბამისად აღჭურვა და მოწყობა მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის ეფექტიანი სწავლებისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა **არ შეესაბამება** რესურს ოთახის მოწყობის მოთხოვნებს?

ა) რესურს ოთახში სხვადასხვა ტიპის დამხმარე თვალსაჩინო მასალა უნდა იყოს გამოკრული.

ბ) რესურს ოთახში სსსმ მოსწავლეებთან სამუშაო სივრცე მოწყობილი უნდა იყოს ადაპტირებული ავეჯით.

გ) რესურს ოთახს უნდა ჰქონდეს დასასვენებელი და სარელაქსაციო სივრცე რბილი იატაკითა და რბილი ავეჯით.

დ) რესურს ოთახში კედლები უნდა იყოს კაშკაშა, მკვეთრი ფერის და ფანჯრებიდან უხვად შემოდიოდეს მზის შუქი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 27

ADHD სინდრომის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ქცევის კონტროლი. მასწავლებლები ასეთ შემთხვევაში იყენებენ ქცევით მიმანიშნებლებს, შეახსენებენ მოსწავლეებს, თუ რას მოელიან მათგან სწავლისა და ქცევის თვალსაზრისით.

ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელ შემთხვევაში/შემთხვევებში იყენებს მასწავლებელი ქცევით მიმანიშნებლებს?

I. მასწავლებელი მოსწავლესთან ამყარებს მზერით კონტაქტს, უახლოვდება მის მერხს და კომუნიკაციისას იყენებს მასთან შეთანხმებულ ჟესტურ სიგნალებს.

II. მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეს, თავი აარიდოს იმ კონკრეტულ გამღიზიანებელს, რომელიც იწვევს მისი ყურადღების გადართვას.

III. მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლის არასასურველ ქცევას და კლასს თვალსაჩინოდ უჩვენებს დავალების შესრულების ნიმუშს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 28

მოსწავლეთა მოტივირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მიწოდებულ უკუკავშირს.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევაა **ყველაზე ნაკლებად** გასათვალისწინებელი, რომ უკუკავშირს მოჰყვეს სასურველი ეფექტი?

ა) უკუკავშირი უნდა მიეწოდოს მოსწავლეს მყისიერად.

ბ) უკუკავშირი უნდა ასახავდეს მასწავლებლის მოლოდინს.

გ) უკუკავშირი ზუსტად უნდა აღწერდეს, რა გამოუვიდა ბავშვს.

დ) უკუკავშირი უნდა იყოს ბავშვისთვის გასაგებად ფორმულირებული.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 29

მოსწავლისათვის მოსალოდნელი სიახლის გასაცნობად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მულტიმოდალური, ერთ-ერთი ასეთი მეთოდია სოციალური ისტორიები.

ჩამოთვლილი განმარტებებიდან რომელი აღწერს სრულფასოვნად სოციალური ისტორიის შინაარსს?
სოციალური ისტორია უნდა აღწერდეს:

ა) სიტუაციის მახასიათებლებს, რა ხდება ან რა მოხდება მოცემულ სიტუაციაში, რა უნდა მოიმოქმედოს ამ დროს თავად მოსწავლემ.

ბ) მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს, რომლებიც დასჭირდება მას კონტექსტის გათვალისწინებით კონკრეტულ სიტუაციაში.

გ) ბარათებზე გამოსახულ სიტუაციებთან დაკავშირებულ გამოწვევებს, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა ახალ გარემოში.

დ) ინდივიდუალურ საჭიროებებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოსწავლესთან ახალ გარემოში ტრანზიციის პროცესში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 30

სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლის მეხსიერების შეფასების მიზნით მას მრავალფეროვანი აქტივობები შესთავაზა.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე უკეთ** რომელი აქტივობით არის შესაძლებელი მოსწავლის მეხსიერების შეფასება?

ა) მოსწავლე ობიექტებს აერთიანებს რაიმე კატეგორიაში, შემდეგ ასახელებს იმ ობიექტს, რომელიც ამ კატეგორიაში არ შედის.

ბ) ბარათების ჩვენებისას მოსწავლე აკვირდება მათზე გამოსახულ საგნებს და შემდეგ ზეპირად ჩამოთვლის მათ.

გ) მიწოდებულ სიუჟეტურ ბარათებს მოსწავლე ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირებს და აგებს მოთხრობას.

დ) დასახელებული სიტყვების მოსმენის შემდეგ მოსწავლე მოიფიქრებს და დაასახელებს მათ სინონიმებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 31

სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლისთვის წერის სწავლების მიზნით გამოიყენა ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი აქტივობები.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** აღნიშნული უნარის განვითარებას?

ა) მოსწავლის მიერ ნიმუშის მიხედვით მაგნიტურ დაფაზე მოძრავი ანბანით სიტყვების აწყობა.

ბ) მოსწავლის მიერ დასახელებული სიტყვების შესაბამისი ილუსტრაციების რვეულში ჩაწებება.

გ) მოსწავლის მიერ ნიმუშის მიხედვით ასოების ძერწვა და კონტურების დაცვით გაფერადება.

დ) მოსწავლის მიერ ჩანთის გახსნა, რვეულის ჩანთიდან ამოღება და მისი გადაფურცვლა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 32

ჩამოთვლილთაგან რომელი კომპონენტი **არ არის** ასახული სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში?

ა) შინ სწავლების განრიგი

ბ) ინდივიდუალური დასწრების განრიგი

გ) მოსწავლისთვის საჭირო აკომოდაციები

დ) მოსწავლისთვის საჭირო რეკომენდაციები

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 33

პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმილ საკლასო აქტივობაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეც ჩართო.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან საერთო საკლასო აქტივობები უწყობს ხელს სსსმ მოსწავლის კლასთან ინტეგრირებას.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან, თუ დავალებას ვერ შეასრულებს, სსსმ მოსწავლეს შეიძლება თანაკლასელებმა დასცინონ.

გ) **ადეკვატურია,** რადგან საერთო საკლასო აქტივობები ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებას.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან მსგავსმა ქმედებამ შეიძლება სსსმ მოსწავლის არაპროგნოზირებადი ქცევა გამოიწვიოს.

დავალება N 34

ჩამოთვლილთაგან რომელი კომპონენტი/კომპონენტები უნდა გააანალიზოს სპეციალურმა მასწავლებელმა წერის აკადემიური უნარების სრულფასოვნად შეფასებისათვის?

I. შეაფასოს მოტორული კომპონენტი, ორთოგრაფიის წესების დაცვისა და შინაარსობრივი მხარის გადმოცემის უნარი.

II. შეაფასოს ასოების გრაფიკულად გამოსახვის, მათი ზომისა თუ ფორმის დაცვისა და ნაწერის სივრცული განლაგების უნარი.

III. შეაფასოს მთავარი კომპონენტის - ნაწერიდან ავტორის აზრის გამოტანის, ძირითადი იდეის ამოცნობისა და ანალიზის უნარი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 35

მასწავლებელი შედის კლასში და ხედავს, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს თანაკლასელისთვის წიგნი წაურთმევია და ხევს. მასწავლებელი ართმევს წიგნს მოსწავლეს და მკაცრად მიმართავს: „ყოველთვის ასე იქცევი, არ შეიძლება! მე რომ შენი წიგნი დავხიო, მოგეწონება?“

მასწავლებლის ქმედება:

ა) **მართებულია**, რადგან მასწავლებელმა მყისიერი ჩარევით მოსწავლეს პრობლემური ქცევა შეაწყვეტინა. ამ შემთხვევაში კი, მთავარი სწორედ პრობლემური ქცევის შეჩერებაა, რათა იგი მოსწავლეთა შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან მოსწავლის მიმართ მკაცრი და ხმამაღალი ტონის გამოყენება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ის არ ემორჩილება მასწავლებელს. ამ შემთხვევაში ეს სრულიად უადგილოა.

გ) **მართებულია,** რადგან მასწავლებელმა მოსწავლეს მიანიშნა, რომ შესაძლოა თვითონაც აღმოჩნდეს მსგავსი მოპყრობის ობიექტი, რაც მისთვის ძალიან უსიამოვნო იქნება. ამით მასწავლებელმა მოსწავლეს ცხადად დაანახა, თუ რამდენად მიუღებელია მისი ქცევა.

დ) **მართებული არ არის,** რადგან მოსწავლის დადანაშაულებამ კლასის წინაშე შეიძლება მასწავლებლის მიმართ მისი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი და ბოლომდე ვერ განმუხტოს სიტუაცია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 36

კლასში სსსმ მოსწავლე გადმოდის და მასწავლებელი ცდილობს, თანაკლასელები მოამზადოს მასთან შესახვედრად, რაც მნიშვნელოვანია კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებები შეუწყობს ხელს კლასში კეთილგანწყობილი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას?

I. მასწავლებელმა კლასში გამართოს დისკუსია თემაზე - განსხვავებულობა და ტოლერანტობა.
II. მასწავლებელმა დაგეგმოს სსსმ მოსწავლისა და მისი თანაკლასელების ერთობლივი აქტივობები.
III. მასწავლებელმა თავი შეიკავოს სსსმ მოსწავლის საჭიროებების შესახებ საუბრისაგან.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 37

მაქსიმალური ქულა - 3

სკოლაში ხშირად გვხვდებიან სხვადასხვა ტიპის დარღვევისა და შეზღუდვის მქონე მოსწავლეები, თუმცა ყველა არ არის სსსმ სტატუსის მქონე. ზოგიერთ მათგანს ეს არ ესაჭიროება, ხოლო ზოგიერთი მოსწავლის მშობელი კი, საჭიროების მიუხედავად, უარს აცხადებს მისი შვილისთვის სსსმ სტატუსის მინიჭებაზე.

- იმსჯელეთ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს მშობლების ამგვარ გადაწყვეტილებას.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 38

მაქსიმალური ქულა - 3

„როცა უფროსები შენს დასჯას გადაწყვეტენ, წინააღმდეგობის გაწევა არ ღირს. ანგარიშს მხოლოდ მათ უწევენ, ვინც მოსწონთ, მე კი ისეთს ჯერ არ შევხვედრივარ, რომ მოვწონდე. რაც თავი მახსოვს, ყველას იმედს ვუცრუებ.“

„გმირი ღამის ავტობუსში“. ონჯალი რაუფი.

- აღწერეთ სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეს თვითშეფასების ამაღლებაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

****პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 39

მაქსიმალური ქულა - 3

გამოკვეთილი და მძიმე სირთულეების მქონე სსსმ მოსწავლეებთან ხშირად ვერ ხერხდება აკადემიური უნარების იმ ხარისხით განვითარება, რომ მათ შეძლონ თანატოლებთან ერთად სასწავლო პროცესში ჩართვა. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია მათ მიერ ფუნქციური აკადემიური უნარების (ფუნქციური წერის, კითხვისა და მათემატიკური უნარების) დაუფლება.

- აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება სსსმ მოსწავლეს ფუნქციური აკადემიური უნარების დაუფლებაში.
- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენ მიერ აღწერილი აქტივობა სსსმ მოსწავლეს ადაპტაციაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 40

მაქსიმალური ქულა - 3

სსსმ მოსწავლეს ქართულის გაკვეთილზე თან ახლავს ინდივიდუალური ასისტენტი. მასწავლებელმა კლასს წაკითხული ტექსტის გაანალიზება და მთავარი აზრის გამოტანა დაავალა, სსსმ მოსწავლის ასისტენტს კი მიმართა: „ეს დავალება მისთვის რთულია, კლასს რომ არ ჩამორჩეს დაეხმარე და შენ დაუწერე“.

- აღწერეთ, როგორ უნდა მოიქცეს ინდივიდუალური ასისტენტი მოცემულ სიტუაციაში, რომ თავისი მოვალეობა მაქსიმალურად ეფექტიანად შეასრულოს.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40